სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

08 მაისი 2026

N 311/ს

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ გარემოს ეროვნული სააგენტოს 2026 წლის 6 აპრილის №219/ს ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2026 წლის 6 აპრილს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) მიერ გამოცემულია „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ №219/ს ბრძანება.

2026 წლის 6 მაისს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის დირექტორის მიერ სააგენტოში წარმოდგენილი იქნა №50 განცხადება (სააგენტოში რეგისტრაციით №6692), რომლითაც მოთხოვნილია ზემოაღნიშნული ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადება, ვინაიდან ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ი საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილებით გათვალისწინებულ ადგილზე განხორციელებას აღარ გეგმავს.

ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის დირექტორის განცხადებისა და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ მარტყოფში ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ“ სააგენტოს 2026 წლის 6 აპრილის №219/ს ბრძანება.

2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიას.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტ“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ელენე ღუბიანური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

https://edocument.ge/mea/public/#/311-21-4-202605081826

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE